ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01223183996**
თარიღი: **14/11/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2022 წლის 10 ნოემბრის N 17-01223142648-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, პეტრე ჩაიკოვსკის ქუჩა N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.15.05.068.033) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის (AR1890254) შეთანხმების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა და წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ზეგავლენის შეფასება და დოკუმენტაცია შეიცავს ხარვეზებს:

- წარმოსადგენია სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან **შეთანხმებული** საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა(ები). აიტვირთოს შესაბამის **თანხმობის წერილებთან** ერთად ერთიანი დოკუმენტის სახით, შესაბამის ველში.
- ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევაში წარმოდგენილი ფართობების ფუნქციური განაწილება არ შეესაბამება არქიტექტურული პროექტით წარმოდგენილ ფუნქციურ განაწილებას ან/და დამთხვევა ვერ მოხერხდა.
- ტრანსპორტის ზეგავლენის შეფასების კვლევაში ფიქსირდება მექანიკური ხარვეზი: გვ.4-დან გვ.7-ის ჩათვლით _ აღნიშნულ გვერდებზე წარმოდგენილ იქნას პროექტის შესაბამისი ინფორმაცია/ დოკუმენტ(ებ)ი.

შესაბამისად სააგენტო, ამ ეტაპზე, მოკლებულია პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას. სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო პოზიციას დააფიქსირებს ხარვეზების გამოსწორებისა და მასალის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი